„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ცაბაძე

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივლისი. 2017 * (5)32

ლევან ცაბაძე

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ყოველთვის ღებულობს ობიექტურ ინფორმაციებს დაბასა თუ სოფლებში მიმდინარე მოვლენებზე. თუმცა თითოეულმა მათგანმა უფრო მეტი უნდა იცოდეს მის მიერ არჩეულმა თვითმმართველმა ორგანომ რა გააკეთა, რის გაკეთებას აპირებს და, რაც მთავარია, გაამართლა თუ არა მათმა რჩეულებმა, შეასრულეს თუ არა ის განაწესები, რაც წინასაარჩევნოდ მოსახლეობას დაპირდნენ.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ლევან ცაბაძე,** *რომელსაც ვთხოვეთ პასუხი გაეცა ზოგიერთ ისეთ კითხვაზე, რომელიც ესოდენ აინტერესებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.*

– ბატონო ლევან, მიიწურა 2017 წლის პირველი ნახევარი. ცხადია, ამ ხნის განმავლობაში, წლევანდელი წლის გეგმით გათვალისწინებული რიგი სამუშაოები ჩატარდა, ზოგიერთი, ალბათ, შესრულების პროცესშია. დაწვრილებით რას გვეტყოდით მიმდინარე სამუშაოების შესახებ?

– მინდა გითხრათ, რომ აბსოლუტურად ყველა სამუშაო შესრულების პროცესშია. თუმცა, დღესდღეობით, არც ერთი სამუშაო ბოლომდე არ დასრულებულა, მაგრამ, დაახლოებით ორსამ კვირაში, ნელ-ნელა, დაიწყება დასრულდების პროცესი. პირველი, სავარაუდოდ, ორგორა-საყუდაბლის გზა იქნება და ძველ-ჭობარეთამდე უმოკლეს დროში შეგვეძლება მისვლა.

სამუშაოები გეგმა-გრაფიკით მიმდინარეობს, არსად ჩამორჩენა არ გვაქვს...

– უფრო დავაკონკრეტოთ, გავშალოთ საკითხი...

– აბსოლუტურად ყველგან, სატენდერო მოთხოვნების გათვალისწინებით, მიმდინარეობს სამუშაოები და განსაზღვრულ ვადებში მოხდება დაწყებული სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა.

– წლეულს რის გაკეთებას აპირებთ?

– როგორც ვთქვი, დასრულდება ორგორა-საყუდაბლის გზა, კეთილმოეწყობა (მოასფალტდება) დაბის შიდა ქუჩები, კერძოდ – 11 ქუჩა. აქედან 6-ის მოასფალტება უკვე მიმდინარეობს და სადაც ასფალტის დამგები ტექნიკა ვერ იმუშავებს, ყველგან ბეტონის გზა დაიგება. ასევე გეტყვით, რომ მიმდინარეობს ასპინძა-ოთისა და თოკ-ვარგავის დამაკავშირებელი გზების მეორე ეტაპის სამუშაოები. ყველასათვის თვალშისაცემია დეკორატიული კედლების მშენებლობა ცენტრალური საავტომობილო გზის – ვარძიის ქუჩის მთელ მონაკვეთზე, ხოლო ხვილიშის ეკლესიის მისასვლელთან, კერძოდ, სპეცსამსახურის მისასვლელთან მოეწყობა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სკვერი. წელსვე მთლიანად დასრულდება ხუთი სოფლის მაღალმთიან საძოვრებზე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის სარწყულებლების დამონტაჟება, რომელიც დასრულების პროცესშია. მალევე დასრულდება კულტურის სახლის თეატრალური დარბაზისა და სცენის რეაბილიტაცია, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო კულტურის კერა იქნება მთელ რეგიონში. ასევე მინდა გითხრათ, რომ ივერიის გზისთვის, თუმცა გარდამავალ ობიექტთა ნუსხაშია შეტანილი, დამატებით შევძელით 700 ათასი ლარის მოძიება და ნელსვე ივერიელებს ასპინძასთან დამაკავშირებელი კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა ექნებათ. დამატებით მოვიძიეთ ასევე ოთხასოციათასი ლარის დაფინანსება, რითაც შევძლებთ ე.წ. ერეკლე მეორის ნახიდრამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელებას ყოფილი მანქანა ტრაქტორთა სადგურის მიმართულებით – ბენზინგასამართ სადგურამდე.

– ე.ი. წელს დასრულდება ამ გზის მშენებლობა?

– კი, ბატონო. შეიკვრება წრედი და ამას დაემატება რამდენიმე ქუჩის კეთილმოწყობაც, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ამჟამად დაბაში არსებული 38 ქუჩიდან 32-33 ქუჩის მოასფალტებასა და ბეტონის გზის დაგებას ვვარაუდობთ. დამაჯერებლად გეტყვით: მომავალ წელს დაბაში მთლიანად კეთილმოეწყობა დარჩენილი ყველა ქუჩა.

– როგორც იცით, დაბის მოსახლეობის წინაშე ყოველთვის იდგა სასმელი წყლის პრობლემა. რა გაკეთდა ამ პრობლემის მოგვარებისათვის?

ასპინძელები მეტს იმსახურებენ!

ინტერვიუ



– როგორც მოგეხსენებათ, დაბაში, რაც თავი მახსოვს, ყოველთვის სასმელი წყლის პრობლემაა. რამდენიმე წლის წინ, როდესაც ჩამოვედი დაბაში მუდმივ საცხოვრებლად, მოსახლეობის დიდ ნაწილს საერთოდ არ მიეწოდებოდა სასმელი წყალი, მით უმეტეს, ზაფხულში. ჩვენ სერიოზული სამუშაოები ჩავატარეთ, დებეტი, რაც გვქონდა, გადავწყვიტეთ მაქსიმალურად გამოგვეყენებინა. ანუ, წყლის რეზერვუარში შემავალი მილები პირდაპირ გადიოდა დასახლებულ ადგილებში, რის გამოც მისი უყაირათო გამოყენება ხდებოდა, განსაკუთრებით ზაფხულში, მორწყვის სეზონის დროს და წყლის საერთო რეზერვუარამდეც ვერ აღწევდა. აქედან გამომდინარე დიდი დეფიციტი იქმნებოდა. აღარ ყოფნიდა მოსახლეობას ეს წყალი. მნიშვნელოვნად ეცემოდა წნევა და მოსახლეობამდე ვეღარ აღწევდა. დღესდღეობით ეს პრობლემა მოგვარებულია. არ მივცემ ჩემ თავს იმის უფლებას, მოსახლეობა შეცდომაში შევიყვანო – სასმელი წყლის პრობლემა კვლავ მოუგვარებელია, მაგრამ, ერთს კი დამაჯერებლად ვიტყვი – დაბის მოსახლეობის მინიმუმ ოთხ-ხუთ საათიან წყალმომარაგებას აუცილებლად შევძლებთ, რაც სერიოზული შეღავათი იქნება მათთვის. ამასთან ერთი პრობლემა მაინც რჩება – უამინდობის ჟამს სასმელი წყალი საგრძნობლად იმღვრევა, რაც იმის ბრალიცაა, რომ არ არსებობს საფილტრ-სანმენდი ნაგებობები და ჩვენი შემდგომი ეტაპი ამ კუთხით სამუშაოების გაგრძელება იქნება. ასევე მინდა გითხრათ, რომ, როგორც იქნა, საშველი დაადგა ჯავახეთიდან წყალმომარაგებას. წყალი რეზერვუარამდე მიყვანილია, მაგრამ, სამნუხაროდ, ძალზე ნაკლებია მისი დებეტი, სწორი გათვლები დაპროექტებისას ვერ გააკეთეს ჩვენმა წინამორბედებმა და...

– პერსპექტივაში თუ ითვალისწინებთ დებეტის შევსებას?

– ეს ჩვენს კომპეტენციას აღემატება. ჩვენი გასაკეთებელი რომ ყოფილიყო, გარწმუნებთ, ეს დღემდე გაკეთებული გვექნებოდა. ამჟამად წყალკანალი მუშაობს ამ საკითხებზე და აუცილებლად დასრულდება. როგორც ვთქვი, პროექტზე მუშაობა დაწყებულია და ახლო მომავალში სერიოზული შეღავათი გვექნება – დაახლოებით 8-10 საათიანი წყალმომარაგება.

– გამრიცხველიანება გაკეთდა... თუ იმუშავებს ეს პროექტი?

– მრიცხველის მიხედვით თუ გადასახადების ამოღება დაიწყება, რა თქმა უნდა, წყალმომარაგება კიდევ უფრო გაუმჯობესდება და, შესაბამისად, წყლის ხარისხიც...

– იქნებ გვითხრათ, როგორ მოემზადა მუნიციპალიტეტის გამგეობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რწყვის სეზონისათვის. დამატებით რას უნდა ველოდოთ ამ მიმართებით?

– მინდა გითხრათ, რომ ერთ-ერთი პრიორიტეტი რაიონში ჩემი მოსვლის დღიდან, სასმელ წყალთან ერთად, ასევე სარწყავი წყლის პრობლემის მოგვარებაც იყო, რაც, ნაწილობრივ, უკვე გამოსწორებულია, განსაკუთრებით – დაბაში, იქ, სადაც წყალმომარაგება თვითდინებით ხდება. აღსადგენია მხოლოდ ე.წ. დამალის წყალსაქაჩი, ამ საკითხის მოგვარებაზეც ვმუშაობთ და, ვიმედოვნებ, დადებითადაც გადაწყდება. დაბეჯითებით გეტყვით – დაბის მოსახლეობის უმრავლესობას სარწყავი წყლის პრობლემა არ ექნება. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ რუსთავშიც. იქ მთლიანად წყლის სატუმბ სადგურზეა დამოკიდებული მოსახლეობის სარწყავი წყლით მომარაგება და ეს პრობლემაც მოგვარებულია. ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს ივერიის სარწყავი წყლით მოსახლეობის მომარაგების საკითხიც, რომელიც, სავარაუდოდ, წელს უნდა დასრულდეს. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს სარო-ხიზაბავრის წყალსაქაჩის რეაბილიტაციაზე. როგორც იცით, რამდენიმე წლის წინ, ამ სოფლებისთვის წყალსაგუბარიც იქნა გაკეთებული, ნაწილი იქიდან ირწყვება, ხოლო ნაწილი ამ წყალსაქაჩით მოირწყვება, ანუ, მთლიანობაში, დაახლოებით 800 ჰექტრამდე გასარწყავდება, რაც, მერწმუნეთ, სერიოზულ შეღავათს მისცემს მოსახლეობას. ანუ, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ამ მიმართებით თუმცა ძალიან ძნელია მუშაობა, ყველანაირად ვცდილობთ, რეაბილიტირებული იქნას ასევე სოფელ ნიჯგორის სარწყავი სისტემაც. ერთი სიტყვით, საკმაოდ ნაყოფიერად ვმუშაავეთ ამ ოთხი წლის მანძილზე. ხომ გვახსოვს, დაბას, 10 წლის მანძილზე, რომ არ ჰქონდა სარწყავი წყალი.

– როგორც ვიცით, თქვენ შესანიშნავი იდეა გაქვთ – ბორჯომ-ოთა-ასპინძის დამაკავშირებელი გზის შესაძლო მშენებლობასთან დაკავშირებით. შეიძლება ზოგიერთს ეს სკეპტიკურადაც მოეჩვენოს, პირადად მეც უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პროექტად მიმაჩნია და სრულიად შესაძლებელია მისი განხორციელება, რომელიც ეკონომიკურადაც მომგებიანი იქნება და, პირველ რიგში, ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. მაინც რითი ფიქრობთ ამ პროექტის განხორციელებას?

– ეს, ჯერ-ჯერობით, ბატონო ავთო, იდეის დონეზეა, მაგრამ, მისი ხორცშესხმისათვის, ძალასა და ენერგიას არ დავზოგავ.

– წარმოდგენა რომ ჰქონდეს საზოგადოებას, მოდით, ამაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ...

– აგიხსნით. ამ პროექტის განხორციელება რთული სრულიად არ არის, იმიტომ, რომ, ეს, უძველესი სამხედრო გზაა. გეტყვით, თუ რა გზაზეა საუბარი: ვინც მესხეთის ისტორია ცოტა მაინც იცის, როდესაც ერეკლე მეფე ტოტლებენისგან იქნა ნაღალატევი და აწყურში მიატოვა, ერეკლე

დასასრული მე–2 გვ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2017 წლის 27 ივნისს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, სადაც განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, კერძოდ:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სარწყავი წყლით სარგებლობის ტარიფის დამტკიცების შესახებ და ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ რუსთავში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) მიწის ნაკვეთის ტაძრის მშენებლობისთვის ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიაზე უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადასაცემად, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული იქნა საკრებულოს ნორმატიული აქტები (დადგენილება), რომელიც განთავსდა საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე (matsne.gov.ge) და გამოიცა შესაბამისი განკარგულებები.

დარეჯან ზღუდაძე

ასპინძელები მეტს იმსახურებენ!

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

მეფეს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა და იცოდა, თურქ-ოსმალოებთან აუცილებლად მოუწევდა დიდი ბრძოლა და ეს ბრძოლა უნდა მიეღო კიდეც. ჩვენდა საამაყოდ მინდა ვთქვა, რომ ასპინძის ომის სტრატეგია და ტაქტიკა ამერიკულ სამხედრო ვესტპოინტის სკოლაში ისწავლება, ერთ-ერთ ბრწყინვალე პარაგრაფად, რაც ძალზე საამაყოა. აქვე დავძენ იმასაც, რომ ომის შემდეგ ერეკლე მეფე ამ გამარჯვების აღსანიშნავ ნადიმსაც დაესწრო სოფელ ხიზაბავრაში, იქიდან გადავიდა ამ სამხედრო გზით და ტოტლებენზე ორი დღით ადრეც ჩავიდა თბილისში. ეს, როგორც ვთქვით, სტრატეგიული მხარეა. მაგრამ, დღეს ჩვენ, ღვთის წყალობით, მშვიდობა გვაქვს და, იმედია, არასოდეს არ დაგვჭირდება ამ მიმართებით ამ გზის გამოყენება, მაგრამ, მინდა გითხრათ, რადგან ქვეყანაში პრიორიტეტად ტურიზმია გამოცხადებული, ჩვენც ამ სტრატეგიით ვმოქმედებთ. ეს საოცარი გზაა თავისი ლანდშაფტით, ბუნებაც სრულიად განსხვავებულია. იქიდან გამომდინარე, რომ ალპურ ზონაში გვიწევს ასვლა, განსხვავებული ფლორით და ფაუნით ძალზედ საინტერესო და ულამაზესი ხედები იშლება ჩვენს თვალწინ. წარმოიდგინეთ, – ავდივართ უღრანი ტყის ზოლში, მერე, უცბად, ალპურ ზონაში ვხვდებით. შეგახსენებთ – ბორჯომს, ზაფხულში, დაახლოებით ორი მილიონ-ორმილიონ ნახევარი დამსვენებელი ჰყავს და ისინი ძირითადად ოჯახთან ერთად ისვენებენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, სულ რაღაც 20-25 კილომეტრი სავალი გზა იქნება ბორჯომიდან ასპინძამდე და მაქსიმუმ 25 წუთი დაგვჭირდება ამ გზის დასაფარავად. ესაა ისტორიული ძეგლებით დატვირთული მარშრუტი, დაახლოებით, თუ არ ვცდები, 30-მდე ისტორიული ძეგლია, როგორც ვთქვი, ულამაზესი ბუნებით; წარმოიდგინეთ – შეგიძლიათ ბორჯომიდან ერთ საათში მოხვდეთ ვარძიაშიც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ბორჯომისთვისაც ბორჯომ-ასპინძის ამ კუთხით ერთმანეთზე მიბმა ძალზედ საინტერესო იქნება ეკონომიურადაც და ტურიზმის განვითარების კუთხითაც. ბორჯომში ჩამოსული დამსვენებლებისთვის ეს მარშრუტი უფრო საინტერესო გახდება. კიდევ უფრო ცნობადი რომ გახდეს ეს მარშრუტი, მარტო მისი რეკლამირება არ იქნება საკმარისი – ვფიქრობთ, ქართველ ახალგაზრდობას (და არა მარტო მათ), თუ ამას ჩვენ თავს დავადგამთ, შევთავაზებთ საინტერესო ტურისტულ ტურებსაც – ბორჯომ-ასპინძის მოსაზღვრედ მოეწყობა კარვების ქალაქი, ასე ვთქვათ, ახალგაზრდული ბანაკები, სადაც შეეძლებათ ნორმალური დასვენება-გართობა, მხარის ისტორიული ძეგლების გაცნობა. პერსპექტივაში შესაძლებელია დასასვენებელი სახლების მშენებლობაც და ა.შ.... ერთი სიტყვით, ეს იქნება უნიკალური დასასვენებელი ადგილი საქართველოში და მომგებიანიც. მსოფლიოში ყველა ქვეყანა თავისებურად ვითარდება (ტურიზმზე მაქვს საუბარი). ტურიზმი სხვადასხვა დარგს ანვითარებს და, აი, ამ კუთხითაც საინტერესო და მიმზიდველია ეს პროექტი. კიდევ იმიტომ, რომ „პიტით“ (არაასფალტირებულ, გრუნტიან გზაზე მოსიარულეები) ვინც არიან დაინტერესებულები, რომელთაც მოსწონთ ეგზოტიკურ გარემოში ყოფნა (ამას „ღანდონე“ – (randonnée - ლაშქრობა ჰქვია ფრანგულად და ლათინურადაც), მჯერა ფეხით მოსიარულეთა ტურიზმის განვითარებაც იქნება შესაძლებელი, ჯიპტურების მოწყობაც და, ასევე, აგროტურიზმიც განვითარდება. ეს ყველაფერი ერთად სერიოზული პროექტი იქნება. თუმცა, როგორც გითხარით, ეს ჯერ იდეის დონეზეა, ბორჯომელი კოლეგებიც თანახმანი არიან, რადგან იგი მათთვისაც მომგებიანი იქნება და, ამიტომ, ერთობლივად ვაპირებთ ამ მიმართებით მუშაობას. ეს იაფი პროექტი არ არის, საკმაო თანხა ჭირდება მის განხორციელებას. უხეშად რომ ვთქვათ, დაახლოებით სამ მილიონზეა საუბარი. ვფიქრობთ, დონორ ორგანიზაციებთან ვაწარმოოთ მოლაპარაკება და მოვიზიდოთ საჭირო ასიგნებანი. ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც გავიღოთ... ერთი სიტყვით, სერიოზული პროექტია.

– დიდად მნიშვნელოვანია თქვენი ინიციატივით დაბის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაობის ჩატარება. როდის ფიქრობთ მის ექსპლოატაციაში გადაცემას?

– ეს მარტო ჩემი იდეა არ არის. ყველა მუნიციპალურ ცენტრში, სადაც ახალგაზრდობა გაცილებით მეტია, ამ პროექტის განხორციელება აუცილებელია. ცენტრი მაინც ცენტრია, რომელიც ყველას სამსახურში უნდა იყოს. ვფიქრობ, კულტურის ცენტრები ახალგაზრდობის სრულყოფილი ჩამოყალიბებისთვისაა საჭირო. ახალგაზრდობა უნდა იყოს დატვირთული და დაკავებული. აი, ამიტომ დავიწყეთ ამ კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია, ამიტომ შევქმენით იქ ბავშვთა თავისუფალი თეატრის დასი. მახსოვს, როდესაც აქტიურ სპორტში ვიყავი ჩაბმული, ხშირად მინახავს ასპინძაში, ბირჟაზე, ახალგაზრდები – პატარა ბიჭები სიგარეტით ხელში, ნასვამ მდგომარეობაშიც კი და გული მწყდებოდა – რა ახალგაზრდობა გაიზრდება ამ ასაკიდან რომ იწყებენ უსაქმურობას, სიგარეტისადმი მიდრეკილებას რომ იჩენენ-მეთქი. დღესდღეობით, ჩვენდა სასიხარულოდ, მინდა ვთქვა, რომ, ფაქტიურად, ბირჟაზე, თუ არ ჩავთვლით ზაფხულის არდადეგების პერიოდს, პატარა ბავშვებს ნამდვილად ვერ ნახავთ ქუჩაში უსაქმურად. საერთო ჯამში მივაღწიეთ იმას, რომ რაიონის ახალგაზრდობა აქტიურადაა ჩართული სპორტში, თეატრალურ ცხოვრებაში, ზოგი მუსიკასაც ეუფლება და... მოსწავლე-ახალგაზრდობაც დაკავებულია.

აქვე დავძენ – მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სახლის დიდი ნაწილი რეაბილიტირებულია, მწირი ბიუჯეტის გამო მხოლოდ ეტაპობრივად ჩავატარეთ სამუშაოები. დარჩენილია მხოლოდ დარბაზისა და სცენის კეთილმოწყობის სამუშაოები. მჯერა აღდგენილი კულტურის სახლი ყველა ასპინძელისათვის შესანიშნავი დასვენებისა და გართობის ადგილი იქნება. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ახალციხის სახელმწიფო თეატრში შედგა პრემიერა, სადაც ასპინძის ბავშვთა თეატრალური დასის წევრმა ერთ-ერთი მთავარი როლი წარმატებით შეასრულა. ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულო ფაქტია.

– ალბათ, ახალციხის სახელმწიფო თეატრისთვისაც დიდი შენაძენი იქნება ასპინძელი ახალგაზრდა მსახიობი.

– კი, რა თქმა უნდა. სწორედ ბავშვთა ასეთ თეატრალურ დასებში უნდა აღიზარდონ მომავალი მსახიობები... ასპინძაში ოქტომბრისთვის დასრულდება საინტერესო სპექტაკლის მომზადება და თავადაც დარწმუნდებით, როგორი შესაძლებლობები გვაქვს ამ მიმართებითაც.

– ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს ერეკლე მეორის მემორიალური კომპლექსის მშენებლობა. როდის ფიქრობთ მის დამთავრებასა და საზეიმო გახსნას. როგორც ვიცით, კომპლექსის გახსნის პარალელურად გადაწყვეტილი გაქვთ ჩაატაროთ მესხური ფოლკლორის ფესტივალი. როგორ ემზადებით მის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. რა მასშტაბები ექნება ამ ფესტივალს?

– მინდა გითხრათ, – ეს არის ასპინძის ომისადმი მიძღვნილი მემორიალური კომპლექსი. თურქ-ოსმალთა ბატონობის შედეგად მესხეთის ქრისტიანული მოსახლეობა უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა და, აქედან გამომდინარე, ამ ბრძოლას (ომს) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საქართველოსათვის. მან გააჩინა იმედი იმისა, რომ მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი ყოველთვის ჰქონდა.

ასპინძა ცნობილია არაერთი ისტორიული ძეგლით, ეკლესია-მონასტრებით, თავისი დიდი ისტორიული წარსულით და ასპინძის ომის ამსახველი მემორიალური კომპლექსის დადგმაც არამარტო ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა, არამედ მხარის დიდ პოპულარიზაციაც. ასპინძის ომი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი საქართველოს ისტორიაში. ერეკლე მეფის სახელი და დიდება, სხვა ბრძოლებთან ერთად, ასპინძის ომმაც აამაღლა და დიდების შარავანდედით შემოსა მისი სახელი. საქართველოს არც ერთ მეფეზე (თამარის გარდა) იმდენი ლექსი, ლეგენდა, თქმულება არ შექმნილა, რამდენიც მასზე. მე ყოველთვის მწყდებოდა გული იმაზე, რომ ასპინძის ომის ამსახველი მემორიალური კომპლექსი ასპინძაში არ გვქონდა, არადა იგი უფრო მეტად არის ყურადღების მისაქცევი, რადგან ასპინძას ამ ბრძოლამაც შემატა სახელი და დიდება. კი ბატონო, მემორიალური ქვა თვალსაჩინო ადგილზეა დადგმული, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს; ქვეყანაში, სადაც ყოველწლიურად იზრდება ტურისტების რაოდენობა, როდესაც მესხეთის კულტურული ძეგლების დასათვალიერებლად ათასობით უცხოელი ჩამოდის, ჩვენ მოვალენი ვართ ყველას გავაგებინოთ, რომ ერეკლეს ხმლის ძალამ სნორედ აქ გაიბრწყინა და ოქროს ასოებით ჩაიწერა მსოფლიო ომების ისტორიაში. ამიტომ ვფიქრობ, – ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსი სავიზიტო ბარათი უნდა გახდეს თითოეული სტუმრისათვის. ამჟამად რაც კეთდება ეს არის პირველი ეტაპი და ცოტა ხანში აქ სერიოზული სამუშაოები გაგრძელდება – კეთილმოწყობა მისი მიმდებარე ტერიტორია და იგი ერთ-ერთი ულამაზეს ადგილად იქცევა დაბაში. ასევე ბევრი საინტერესო იდეა მაქვს, მაგრამ, ამ ეტაპზე, თავს შევიკავებ მათი გაჟღერებისაგან, ისევ სიურპრიზად დავტოვებ. ხუთ აგვისტოს კი დაგეგმილია ამ მემორიალის გახსნა და შეგნებულად დავამთხვიეთ ქართულ ხალხურ ფესტივალს (მესხურ ფესტივალს). რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტი მიიღებს მონაწილეობას ამ ფესტივალში. წარმოდგენილი იქნება ხალხური რეწვის ოსტატთა გამოფენა-გაყიდვები, მასობრივი ღონისძიებები; ერთი სიტყვით, ისე ჩავატარებთ, როგორც ეკადრება ამ მოვლენას. იმედია თავს არ შევირცხვენთ და ღირსეულ მასპინძლობას გავუწევთ მოწვეულ სტუმრებს.

– აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის მზადების საკითხებსაც. როგორ ემზადებით არჩევნებისათვის?

– იცით, რაშია, ბატონო ავთანდილ, საქმე? მე არჩევნებითვის მზადება ცოტა სხვა კუთხით მესმის.

– თქვენი პოლიტიკური პარტია, თქვენი გუნდი როგორ ემზადება?..

– ჰოდა, მე ამ დღისთვის უკვე ოთხი წელია ვემზადები. არ დამიწყია იგი დღეს, პატივცემულო, და არც ხვალ არ ვაპირებ დაწყებას. როცა ამირჩიეს ამ თანამდებობაზე, არავის არაფერს არ შევპირებივარ, ერთის გარდა, რომ ღირსეულად მოვიქცეოდი, ვიქნებოდი მოსახლეობის ერთგული მსახური. ასპინძელები უფრო მეტს იმსახურებენ, ამიტომაც ყოველთვის ვცდილობ, ასპინძა განვავითაროთ არა მარტო ეკონომიკურად, არამედ ის დიდი პოტენციალი გამოვავლინოთ, რაც კი ასპინძას მეტ ავტორიტეტს და სახელს მოუხვეჭს. მინდა კიდევ ერთხელ ხმამაღლა განვაცხადო თქვენი გაზეთის ფურცლებიდან – კიდევ და კიდევ მადლობა მოსახლეობის იმ დიდ ნაწილს, ვინც ნდობა გამომიცხადა და მხარი დამიჭირა, რათა მათ სამსახურში ჩავმდგარიყავი. მე ხომ მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გავხდი მუნიციპალიტეტის გამგებელი, მანდეს მმართველობა იმ რაიონისა, რომელიც მეც და მათაც ერთნაირად ძალიან გვიყვარს. აქედან გამომდინარე მომავალი არჩევნებისთვის თამამად შემიძლია ვთქვა, რა გავაკეთე ჩემს გუნდთან ერთად და რისი გაკეთებაც მომავალში გვსურს და მისი გადაწყვეტის არათუ საშუალება, არამედ უდიდესი ინტერესიც მაქვს. რომ ვთქვა, ყველა პრობლემა მოვაგვარეთო, ტყუილი გამომივა. ჩვენ საასპარეზოდ გვქონდა ოთხი წელი, უფრო სწორად, სამ წელზე ცოტა მეტი და, თამამად ვიტყვი, იმაზე მეტის გაკეთება შევძელით, რაც წინა ათწლეულში არ გაკეთებულა.

– იმედია არჩევნებამდე ჩვენ კიდევ მოგვიწევს შეხვედრები და იმის იმედსაც ვიტოვებთ, რომ იქამდე კიდევ ბევრის გაკეთებას შეძლებთ, რითაც მართლა მოიგებთ ამომრჩეველთა გულებს. თქვენ ამის შესაძლებლობა გაქვთ...

ინტერვიუ მიჰყავდა
ავთანდილ ბერიძეს

ასპინძელ ფერმერებს ღარგოზრივი კონსულტაციები გაეწიათ

მიმდინარე წლის 16 ივნისს მობილური ექსტენციის პროგრამის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის ფერმერებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა კონსულტაციები გაუწიეს. კერძოდ, მეცხოველეობის განვითარების, ადგილობრივი აბორიგენული ჯიშების გაუმჯობესების, საკვებწარმოების და საკვები რაციონის შედგენისა და ინტენსიური მეთოდების დანერგვის შესახებ ისაუბრა კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ **გივი ბასილაძემ.** ფერმერ ვაჟა ძირკვაძის მეცხოველეობის ფერმაში, სადაც პოლონეთიდან ჩამოყვანილი 4 ფური და ხელოვნური განაყოფიერებით მიღებული 3 ნამატია მიღებული.



შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში წარიმართა – გამოიკვეთა პრობლემები – რეგიონში რძის წარმოების, საკვებწარმოების ხარისხის დამდგენი ლაბორატორიის, სილოსისა და სენაჟის დასამზადებელი აგრეგატების არარსებობა; მცირე ზომის შემფუთველ-საწნეხი მოწყობილობების და ინგრედიენტების დეფიციტი; ასევე აღინიშნა, რომ აუცილებელია წვნიანი საკვების წარმოების ტექნოლოგიების გადაუდებელი დანერგვა.

დისკუსია წარიმართა რძის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ასორტიმენტისა და რძის მიღება-გადამუშავების დარგში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების გამოძებნის თაობაზე.

ფერმერ **თამაზ ველიჯანაშვილის** ნაკვეთზე შეკრებილ ფერმერებს მცენარეთა დაავადებებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებზე ისაუბრა კვლევითი ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა **შაქრო ყანჩაველმა.** მანვე პასუხები გასცა ჰერბიციდების, ინსექტიციდების გამოყენებაზე, ხარჯვის ნორმებისა და ლოდინის პერიოდის შესახებ, სხვადასხვა კულტურაში წამლობათა ჯერადობასა და სხვა მათთვის საინტერესო კითხვებზე. აქვე მეფუტკრე-სპეციალისტის – **ნანა მაისურაძის** მიერ პრაქტიკულად ნაჩვენები იქნა ფუტკრის მოვლა-მოშენების ჩვევები, მთაბარობის უპირატესობა; ფერმერებს გააცნო წლის პერიოდების მიხედვით საფუტკრეში ჩასატარებელ წამლობათა რიგითობასა და პრეპარატების ნომენკლატურაზე, ასევე შესაბამისი რჩევები მისცა დარგში არსებულ პრობლემების აღმოფხრისათვის.

სოფელ თოკის მიმდებარედ, ინდმეწარმე **თამაზ ზარიძის** საკალმახე მეურნეობაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტის **ელდარ კაშიას** მიერ კალმახის წარმოებით დაინტერესებულ ფერმერებს გაეწიათ კონსულტაციები „ცისარტყელა კალმახის“ წარმოების, მისი პროდუქტიულობის ამაღლების, ლიფსიტისა და თევზის დაავადებებისა და მათი აღმოფხვრის, საკვების რაციონის, პროდუქციის რეალიზაციის, კვლავ წარმოების და სხვა საკითხებზე.

ტარიელ ხიხალაშვილი,

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასპინძის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

შეხვედრა ახალგაზრდა შემოქმედებთან

6 ივნისს, თანამედროვე ქართული მწერლობით დაინტერესებული ასპინძელებისათვის, უჩვეულოდ ლამაზი დილა გათენდა. იმ დღეს, მათ, ისე როგორც წინა წლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებულ ტრადიციულ „ცოცხალ წიგნებთან“ შეხვედრა ელოდათ. შეხვედრების ეს ფორმა ხომ კიდევ უფრო აახლოებს მკითხველს წიგნის ავტორებთან, უფრო საინტერსოს ხდის ავტორებთან პირდაპირ დიალოგებს, რითაც მეტი საშუალება ეძლევათ წიგნის მოყვარულებს, კიდევ უფრო ახლოს გაიცნონ არა მარტო მწერლის შემოქმედება, არამედ მათი ცხოვრების ძირითადი ნიუანსები, პიროვნული თვისებები, აქამდე მკითხველისათვის უცნობი მათი ლიტერატურული ქმნილებები...

ამჯერადაც საპატიო სტუმრებთან შეხვედრა სამუსიკო სკოლის სააქტო დარბაზში შედგა. როგორც ყოველთვის, არც ამ შეხვედრას აკლდა ქართული მწერლობის მოყვარულები, წიგნით დაინტერესებული ახალგაზრდობა.

განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, თუმცა უკანასკნელმა წლებმა გვიჩვენეს, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, შედარებაც კი აღარ შეიძლება იმ წლებთან, როდესაც თითოეული ჩვენთაგანი წიგნიერებით იწონებდა თავს, განუსაზღვრელად დიდი იყო წიგნისადმი ინტერესი და არცერთ ქვეყანას არ ჩამოუვარდებოდით წიგნიერების – განათლების დონით. თუმცა ძალიან ნელა, მაგრამ, მაინც, ახლადფეხადგმული ბავშვივით ისევ იწყება წიგნისადმი შემობრუნების პროცესი და იმედია სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკით ქვეყანა აღიდგენს დაკარგულ იმიჯს.

„ადამიანის სულის ინჟინრები“ კი ყოველთვის ავანგარდში უნდა იდგნენ, რათა წიგნისადმი ინტერესი აღვუდგინოთ, უპირველესად, ჩვენს მოზარდებს, რომ მარტო კომპიუტერით მიღებული ცოდნა არაფერია წიგნით მიღებულ ცოდნასთან შედარებით.

ამჟამადაც ასპინძელი მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც მათთვის უკვე წინა წლების შეხვედრებიდან კარგად ცნობილი, ასევე სხვა ავტორებიც: **– თამარ ფხაკაძე, ინა არჩუაშვილი, გივი ჩიღვინაძე, ვასილ გულეური, მაკა ზონონელი, ნინია სადღობელაშვილი,** რომლებმაც თავიანთ თაყვანისმცემლებს გააცნეს უკანასკნელ პერიოდში შექმნილი თავიანთი ახალი ლიტერატურული ქმნილებები, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე და არაერთხელ გამოხატეს კმაყოფილება ხანგრძლივი ტაშითაც.

ლამაზად წაკითხულმა შესანიშნავმა ლექსმა თუ ნოველამ, კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რა ძალა აქვს ფრთიან სიტყვას, პირდაპირ გულს რომ ეფინება ავტორის მიერ პირადი განცდით წარმოთქმული თითოეული ფრაზა, რომელიც ბავშვობაშიც დაგაბრუნებს, ლამაზ მოგონებებს გაგიფერადებს, სიყვარულის ნექტარს დაგაწაფებს და ზღაპარივით მოგატარებს ქვეყნიერებას.

შეხვედრა თავისებურად, ლამაზად და დასამახსოვრებლად კლასიკური მუსიკის ფონზე გააფორმეს ასპინძის მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა. დასასრულს კი მოწვეულმა სტუმრებმა მთავარ ბიბლიოთეკას უსახსოვრეს თავიანთი წიგნები, რითაც საშუალება მოგვეცა კიდევ უფრო ახლოს გავეცნოთ მათ ახალ შემოქმედებას და გვჯერა, მოვალში, ჩვენთვის უკვე ახლობელი შემოქმედები, კიდევ ახალ-ახალი ნამოღვაწარით გაახარებენ მკითხველთა გულებს.

მანანა ზედგინიძე

ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი საღამო

ასპინძის მუნიციპალიტეტის ვ. მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლის სააქტო დარბაზში ახლახან ჩატარდა დიდი ქართველი კომპოზიტორის ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი საღამო-კონცერტი – „სიცოცხლე მღერის". აღნიშნულ კონცერტს კომპოზიტორთან ერთად სტუმრობდა მისი მეუღლე, პოეტი მანანა დანგაძე. სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა კომპოზიტორის ნაწარმოებები შეასრულეს როგორც ფორტეპიანოზე, ასევე გიტარაზე. აღნიშნულ საღამოზე ვაჟა აზარაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მასპინძლებმა ვრცლად ისაუბრეს. საღამო კიდევ უფრო გაალამაზა პოეტ მანანა დანგაძის მიერ წაკითხულმა ლექსებმა. თავად კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა ლამაზ სიმღერებსა და ნაწარმებებს შესაფერისი ლამაზი ფონი შეუქმნა თავისი შესრულებით. ამ ემოციურმა მუხტმა კიდევ უფრო გაალამაზა საღამო.

საკ. ინფორმაცია

წინ ჯიდევ ბევრი წარმატებები ელით

ნათქვამია – ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო. ახალგაზრდობის სპორტული აღზრდა კი, რა თქმა უნდა, ჯანსაღი საზოგადოების აღზრდას ნიშნავს. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა სპორტის განვითარებას და იგი სახელმწიფოებრივ დონეზეა აყვანილი და მილიონობით თანხას ხარჯავენ ამ მიმართებით – იქმნება სპორტული კლუბები, სექციები, საზოგადოებები და ა.შ. რომელშიც ასაკობრივად მოზარდი თაობის დიდი ნაწილი ერთიანდება და სპორტის სხვადასხვა სახეობებს ეუფლებიან.

ჩვენთანაც, როგორც ყველგან, სპორტისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება და შედეგებიც ხელშესახები ხდება, ამჯერად ჩვენი ყურადღების არეალშია დაბა ასპინძაში არსებული ძიუდოს კლუბი „შორეთი“, სადაც მოზარდი თაობის არაერთი წარმომადგენელი ეუფლება ძიუდოს ხელოვნებას და, უპირველესად, უნდა აღინიშნოს სპორტის ოსტატის, სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობებში არაერთგზის გამარჯვებულის, ადგილობრივი მკვიდრის, დამსახურებული მწვრთნელის **გოდერძი ველიჯანაშვილის** მუხლჩაუხრელი, დაუღალავი შრომა ნორჩ სპორტსმენთა მომზადებისა და მათი ფართო ასპარეზზე გამოყვანისათვის.

წარმატებულ სპორტსმენად ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ წარმატებულ – გამოცდილ მწვრთნელზეა დამოკიდებული, რომელსაც ძალუძს მოზარდს არა მარტო სპორტი შეაყვაროს, არამედ დიდ სპორტსმენადაც აქციოს.

წლების წინ, როდესაც გოდერძი ველიჯანაშვილმა ასპინძაში გადაწყვიტა სპორტის ეს სახეობა აეღორძინებინა, ბევრი სკეპტიკურად განეწყო მის მიმართ და ხელშეწყობის ნაცვლად წინააღმდეგობებს უქმნიდნენ, თუმცა იგი წარმატებებს მაინც აღწევდა – რესპუბლიკის მასშტაბით სპორტულ სარბიელზე არაერთი ასპინძელი გაიყვანა..

დღეს საქართველოში იშვიათია ისეთი პატარა რაიონი (რამდენიმე სპორტული ტრადიციების მქონე რაიონის გამოკლებით), რომელსაც სპორტის განვითარებისათვის იმდენს მიეღწიოს, რასაც ასპინძა აღწევს. ცოტა ხნის წინ ვინ იფიქრებდა, რომ ასპინძასაც შეეძლო ჩაეტარებინა საერთაშორისო მასშტაბური სპორტული შეჯიბრებები სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიც ძიუდოა, მაგრამ დაუღალავი შრომის, აქტიური პირადი ურთიერთობების შედეგად ასპინძა სპორტის განვითარების ერთ-ერთ ავანგარდში და სპორტული საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ამაზე მეტყველებს უკვე ტრადიციად ქცეული საერთაშორისო ტურნირების ჩატარება ამ სახეობის სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში.

ამა წლის 17-18 ივნისი კიდევ ერთი ლამაზი სპორტული დღესასწაული იყო ასპინძელებისათვის. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან აქ თავი მოიყარა ნორჩმა სპორტსმენებმა, განსაკუთრებით სპორტული ტრადიციებით ცნობილი რაიონების – თბილისის, გორის, კასპის, ხაშურის, მცხეთის, საგარეჯოს, ბათუმის დმანისის, ფოთის, სენაკის, ზესტაფონის, დედოფლის წყაროს, მარნეულის, ახალციხის და სხვა რაიონების წარმოადგენლებმა. სულ კი ტატამზე 400-მდე მოზარდმა იასპარეზა.

2003-2006 წლებში დაბადებულმა ასპინძელმა ნორჩმა სპორტსმენებმა, რომლებმაც წინა ასპარეზობებზე უკვე მიიღეს შესაბამისი გამოცდილებები, არც ამჯერად შეურცხვენიათ თავი და აკი თვალსაჩინო შედეგებსაც მიაღწიეს – რვა პრიზიორი ამ ტურნირში არც თუ ისე ცოტაა ჩვენნაირი პატარა რაიონისათვის.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში ასპინძელმა ნორჩმა სპორტსმენებმა ადგილები ასე გადანაწილეს: ვაჟთა შორის პირველი ადგილი წილად ხვდა **გიორგი გვარამაძეს,** მეორე ადგილი – **ლევან დავლაშერიძესა** და **ლევან მაგრაქველიძეს;** მესამე ადგილი – **ბექა დავლაშერიძეს, ვლადიმერ გვარამაძეს** და **თორნიკე ზედგინიძეს,** ხოლო გოგონათა შორის, ასევე სხვადასხვა წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდნენ – **ანა ბერიძე** და **მარი ფოცხვერაშვილი.**

შეჯიბრებას მსაჯობდნენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **შერმადინ დადვანი** (მთავარი მსაჯი ბოლნისიდან), რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები **კობა ედიშერაშვილი** (თბილისი), **კახა ონიანი** (თბილისი), **გიორგი ლომიძე** (გორი), **გოგა ხერგიანი** (მესტია).

წინ დიდი გზა ელით ასპინძელ ნორჩ სპორტსმენებს. იმედია ისინი მომავალში ბევრ საინტერესო ასპარეზობებს ჩაატარებენ და შესაძლოა მათი დიდი წარმატებების მომსწრენიც გავხდეთ.

ავთანდილ მესხი

ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!

იყო დრო, როდესაც ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული ერთი ფრთიანი ფრაზა: „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“! ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო ყველა დროსა და ყველა სიტუაციაში, რადგან ჩვენი უკეთესი მომავალი ხომ ჩვენს შვილებზე, შვილიშვილებზეა დამოკიდებული, თუმცა ბავშვთა მიმართ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულია ისეთ ყურადღებას ვერ ვიჩენთ, რაც მათი ნორმალური აღზრდის უცილობელი პირობა იქნება.

ძალზე სწორი და მიზანმიმართული, სერიოზული პოზიცია დაიკავა ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, როდესაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა და შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა იმისათვის, რომ გამოეყენებინა ყველა საშუალება, დამატებით მოეძია ფინანსური სახსრები, რათა, უპირველესად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეექმნა ყველა პირობა ბავშვების ნორმალური აღზრდისათვის.

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში არაერთხელ აღინიშნა, რომ დაბა ასპინძაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის ორივე დაწესებულებას მართლაც და ევროპულ დონეზე ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და დღეს ისინი მხარეში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ დაწესებულებათა კატეგორიას განეკუთვნებიან.

ამჟამად მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში 4 საბავშვო ბაღია, მათ შორის – ორი დაბა ასპინძაში და ორიც – სოფელ რუსთავსა და ტოლოშში. დაბის სკოლამდელი აღზრდის ორივე დაწესებულება აღჭურვილია მაღალი ხარისხის ავეჯითა და სათამაშოებით, გაკეთდა ცენტრალური გათბობა. სამზარეულო – თანამედროვე ტექნიკით. ბაღებში გვაქვს სამჯერადი კვება, მზად არიან იმისათვის, რომ მოემსახურონ 400-მდე აღსაზრდელს. ამასთან გვყავს კვალიფიციური აღმზრდელები, რომლებიც მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებიან თითოეული მოზარდის აღზრდის საქმეს.

ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დაქვემდებარებულ საბავშვო ბაღებში წლეულს 362 ბავშვი დადიოდა. აქედან 119 მომზადებული იქნა სასკოლოდ, მათ შორის: დაბის ორივე ბაღმა – 102 აღსაზრდელი; მათგან დაბის საჯარო სკოლისათვის – 39, სოფ. დამალის საჯარო სკოლისათვის – 19, ოშორის – 7, ოთის – 6, ივერიის – 12, ნიჯგორის – 4, იდუმალის – 4, აწყვიტის – 7, ხერთვისის – 3, ნაქალაქევის – 1, სოფ. რუსთავის საბავშვო ბაღმა სასკოლოდ მოამზადა 8 აღსაზრდელი, სოფ. ტოლოშის საბავშვო ბაღმა – 9.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნაყოფიერი აღმოჩნდა ინტეგრირებული სწავლება – სოფელ დამალაში მცხოვრები სომეხი ეროვნების აღსაზრდელები არაჩვეულებრივად ეუფლებიან ქართულ ენას, ღონისძიებებზე გამოთქმით და მხატვრულად კითხულობენ ქართველ პოეტთა ლექსებს და ა.შ.

მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხა ახლომდებარე სოფლებიდან (ოთა, ოშორა, იდუმალა, დამალა, ივერია, გელსუნდა, ხერთვისი, აწყვიტა, ნიჯგორი) აღსაზრდელების საბავშვო ბაღში ტრანსპორტირებისათვის. სატრანსპორტო მომსახურება უფასოა.

გასულ წელთან შედარებით მოიმატა აღსაზრდელთა კონტიგენტმა. შარშან, ოთხივე ბაღში, გვყავდა 362 ბავშვი, წელს, 15 სექტემბრისათვის, მუნიციპალიტეტის ბაღები მიიღებენ 381 ბავშვს. რაც 19 ბავშვით მეტია წინა წელთან შედარებით, ხოლო სასკოლოდ გვეყოლება 100 ბავშვი.

ამჟამად მუნიციპალიტეტის აქტიური მხარდაჭერით ინტენსიურად მიმდინარეობს დაბის ორივე ბაგა-ბაღის ეზოების კეთილმოწყობა, კერძოდ, გათვალისწინებულია დაიდგას ატრაქციონები: სასრიალო, ლაბირინთი, აინონა-დაინონა, მოეწყობა სილის მოედნები და ა.შ.

ახლადჩარიცხული აღსაზრდელების მიღება სხვა აღსაზრდელებთან ერთად მოხდება 15 სექტემბრისათვის. ჩვენთან ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის რომ ჯანსაღი მომავალი თაობა აღვზარდოთ.

ნანა ტივაძე

წარსულის ფურცლები

თბილისის დინამოს ოსტატ ფეხბურთელები და მათ შორის სლავა მეტრეველი ასპინძის სტადიონზე ასპინძის "ვარძიასთან" ამხანაგური მატჩის გამართვის შემდეგ.

სპორტი

მომავალშიც ასე იასპარეზებენ

რაც დრო გადის, ასპინძის სინამდვილეში, ფეხს იკიდებს სპორტის ისეთი სახეობები, რომლებიც უკანასკნელ წლებამდე არც თუ ისე პოპულარული იყო რაიონში, თუმცა ასპინძელთა ჩაბმა სპორტის ამ სახეობებშიც ხშირად დიდი წარმატებებით გვირგვინდება. ერთ-ერთი სახიფათო, მაგრამ ვაჟკაცური სპორტის სახეობა – „ჯომარდობა“, სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოში და კარგია, რომ ასპინძელთა ჩართულობაც დღითიდღე იზრდება და ტრადიციული ხდება.

ცხადია, ამას ხელს უწყობს როგორც დედა-მტკვრის ხეობის ლანდშაფტი, ასევე მთის მდინარის ხიფათებით აღსავსე წინაღობების გადალახვა. ვერ ვიტყვით, რომ ყველას ძალუძს იმ ლაბირინთების გავლა, წინააღმდეგობების დაძლევა, მაგრამ იგი ადამიანის მოხერხებულობის, სიძლიერის უტყუარი გამოცდაა და სასიამოვნოა, რომ ასპინძელები ყოველთვის ავლენენ გამარჯვებისადმი სწრაფვას და ხშირად დაფნის გვირგვინსაც იდგამენ.

ასე მოხდა წელსაც, როდესაც ვარძიიდან დაიწყო ფინიში და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცნობილმა 8 გუნდმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ორი ასპინძის გუნდი იყო. კერძოდ, შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის საგენტოს სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს (ქ.ახალციხე) ასპინძის სახანძრო-სამაშველო განყოფილება (უფროსი ზურაბ ცინაძე) და მეორე გუნდი – მოყვარულებისა. ასპინძელი ჯომარდების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამჯერადაც მასტერ-კლასი აჩვენეს შეჯიბრში მონაწილე ყველა გუნდს, სძლიეს ისინი და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს.

გუნდის შემადგენლობაში იყვნენ სამაშველო სამსახურის თანამშრომლები – გიორგი ბერიძე, გელა აბულაძე, ზაზა ზედგინიძე, ჯაბა ლეკიშვილი, რობერტ არზიგიანი და ირაკლი დავლაშერიძე.

ვულოცავთ ასპინძელ ჯომარდებს ამ დიდ წარმატებას და იმედია მომავალშიც ასე გააგრძელებენ.

პაატა ქავთარაძე

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საზეიმოდ აღინიშნა

1 ივნისს, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ მერაბ ველიჯანაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელები მოინახულეს, მიულოცეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და სიმბოლურად რეზინის ბურთები გადასცეს. ამ დღესთან დაკავშირებით ვალერიან მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა საზეიმო კონცერტი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ასპინძის საჯარო სკოლისა და სამუსიკო სკოლის მოსწავლეები.

საკ. ინფორმაცია

მადლიანი კალთა, ფუძე და ჭერი დაგელოცოთ!

ულამაზესი, მზიანი დღეა... ეზოს კარს აღებ და ზღაპრული სამყარო იშლება... გავიწყდება ყველა პრობლემა და, უნებურად, შენც მათი ნაწილი ხდები. კიბეებზე, კედლებიდან მომღიმარი მზე, ვარსკვლავები, ზღაპრის გმირები, მიგაცილებენ პატარა, მაგრამ დიდი მომავლის გმირებისაკენ,..

ეგზიუპერისა არ იყოს: – „ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ„! ეს ყველაზე სუფთა და დაუვიწყარი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. ამ დროს მზე სხვაგვარად ანათებს და სამყაროც სხვა ფერია.

ჩვენი დღევანდელი დღის გმირების გულები საოცარი ხალისითა და ბედნიერებითაა აღსავსე. ასპინძის N2 საბავშვო ბაღის სასკოლო-საალმზრდელო ორი ჯგუფის 64 აღსაზრდელი დღეს საზეიმოთ ემშვიდობება „გულთბილ კერას“ და სულმოუთქმელად ელოდებიან ახალ – სასკოლო ცხოვრებას, რომელიც დიდ და რთულ, მაგრამ საინტერესო გზაზე გასასვლელად მოამზადებს ამ თვალციმციმა, ულამაზეს, პატარა ადამიანებს.

თეთრ ლაბებსა და ქართულ წითელ ჩოხებში გამოწყობილი პატარები ბედნიერებას ასხივებენ და კიდევ უფრო რწმუნდები, რომ ჩვენს გენს და ჯიშს გადაშენება არ უწერია, რომ საქართველო, უდიდესი მომავლის ქვეყანაა.

ხელიხელ ჩაკიდებული გოგო-ბიჭები, დარბაზში გაბრწყინებული სახეებით, გოგი დოლიძის სიმღერის – „ხმალი ავლესოთ ქართველებოს“ ფონზე შემოდიან და სასწაულიც იწყება... ეროვნულ მოტივებზე შექმნილ პროგრამას, რომლის სცენარიც ნიჭიერ პედაგოგებს ინგა ლონდარიძესა და მარიამ ზედგინიძეს ეკუთვნით, ერთიანად ნუსხავს იქ მყოფთ. „სამაიას“ „ხორუმი“ ცვლის, „ხორუმს“ – შვილებთან შესრულებული „მამების ვალსი“ და... „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ბავშვურად გაცოცხლებული იუმორი; ინგა მასწავლებლის იდეით, ჯგუფის ოქროსფერი ვარსკვლავის გახსნა, რომელიც პირველი ვარსკვლავი გახლავთ ამ საბავშვო ბაღის ოცდაათწლიან ისტორიაში; ქართული დროშის ამაყად აღმართვა და ხვილიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ მამა ზოსიმეს დალოცვა. საოცრად მორგებული მუსიკალური ფონი, რომელიც მუსიკის პედაგოგს ნინო ჯავახაძეს ეკუთვნის, კიდევ უფრო ემოციურს ხდის სიამაყით წარმოთქმულ ლექსებსა და ფრაზებს. მთელი ღონისძიების მსვლელობისას ოვაციები არ წყდება; მშობელთა სიხარულის ცრემლებით და მადლიერი სიტყვებით დასასრულს უახლოვდება ეს ბედნიერი „აურ-ზაური“, რომელიც იქ მყოფ არცერთ ჩვენთაგანს არ დაგვავიწყდება.

ეს დღე კიდევ უფრო დაამშვენეს მოწვეულმა სტუმრებმა – ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ნანა ტივაძემ, ასპინძის N1 საბავშვო ბაღისა და ასპინძის საჯარო სკოლის პედაგოგებმა.

ამ დაუვიწყარი დღის მოსაწყობად, თვეების მანძილზე, დაუღალავად შრომობდნენ პირველი ჯგუფის პედაგოგ-აღმზრდელები – მარიამ და ნინო ზედგინიძეები; მეორე ჯგუფიდან – ინგა ლონდარიძე, მედეა გველესიანი, რუსუდან ოთანაძე, ელენე ზედგინიძე და ამ საბავშვო ბაღის უშურველი მოამაგე, მენეჯერი ლალი ზაზაძე.

ქალბატონ ლალი ზაზაძის დამსახურებასა და პროფესიონალიზმს დიდი წვლილი მიუძღვის ამ საბავშვო ბაღის წინსვლაში. მას სხვადასხვა საბავშვო ბაღში გამგედ მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება ეხმარება პატარებისათვის საინტერესო გარემოს შექმნაში.

– რაც ამ ბაღს სათავეში ვუდგევარ, წელიწადნახევარია, – გვითხრა ქალბატონმა ლალიმ, – საოცრად თბილი თანამშრომლები, ახალი გარემონტებული შენობა, ახალი ინვენტარი, კეთილმოწყობილი ეზო, ატრაქციონებით და სხვადასხვა გასართობებით, ნორმალური მუშაობის შესაძლებლობას გვაძლევს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი კოლექტივის სახელით მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს ლევან ცაბაძეს, ყველა იმ ადამიანს, ვინც დიდი თუ მცირე წვლილი შეიტანა ასპინძის ორივე საბავშვო ბაღების თანამედროვე სტანდარტებით რეაბილიტაციაში. ისინი ხშირად გვსტუმრობენ, ყურადღებას არ გვაკლებენ. დღესასწაულებზე ჩვენს პატარებს საჩუქრებით ანებივრებენ. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო სოფლების: – ხერთვისის, გელსუნდის, ნიჯგორის, ფიის, აწყვიტის, დამალის, ორგორის, ოთის, იდუმალის მოსახლეობის სახელით სამარშრუტო მიკრო-ავტობუსების მძღოლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი საბავშვო ბაღის აღსაზრდელების სატრანსპორტო მომსახურებით“.

მართლაც, საოცრად რთულია და საპასუხისმგებლო, იყო საბავშვო ბაღის პედაგოგი, რადგან სამყაროს აღქმა სწორედ ამ ასაკიდან იწყება – „თუ ოქრომჭედელი ოქროს გააფუჭებს, ოქრო შეიძლება გადავადნოთ, თუ ფუჭდება პატიოსანი თვალი, იგი შეიძლება ჩამოვწეროთ, როგორც წუნი. თვით ყველაზე დიდი მარგალიტიც კი ვერ შეფასდება ჩვენს თვალში უფრო მეტად, ვიდრე ადამიანი. ადამიანის „გაფუჭება“ უდიდესი დანაშაულია, როცა ამ მასალაზე ვმუშაობთ, უნდა ვიცოდეთ, ზუსტად, წინასწარ, გაგაზრებულად, თუ ვინ უნდა გამოვიყვანოთ მისგან“. ამ ყველაფერს, გარდა პროფესიონალიზმისა, კიდევ სჭირდება უხილავი თვალი, რომელიც ბავშვის ფიქრებს კითხულობს, ამ საბავშვო ბაღში სწორედ ასეთი ადამიანები ემსახურებიან ჩვენი პატარების აღზრდას და მათ სითბოს და სიყვარულს უნაწილებენ. ისინი საფუძველს უყრიან, თუ როგორ ჩამოყალიბდნენ ეს პატარა ადამიანები დიდ პიროვნებებად, ზრუნავენ მათ კომფორტზე და განათლებაზე. აქვე აღსანიშნავია მედდის ლელა ქავთარაძის ღვაწლიც, რომელიც მუდმივ დარაჯად უდგას ჩვენი პატარების ჯანმრთელობას და ყველა აღსაზრდელის საყვარელი მეგობარია.

P.S. მშობლებო, თუ თქვენი შვილი ბაღის ასაკს შეესაბამება, წუთით არ დაფიქრდეთ. თქვენი პატარები აქ საიმედო ხელში იქნებიან. თქვენ კი ჩვენსავით იამაყებთ იმ ბედნიერებით, რომელიც ამ საბავშვო ბაღმა მასთან ურთიერთობით გვაჩუქა.

მადლობა თქვენ ამ დაუვიწყარი დროისათვის, იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელიც უშურველად გვაჩუქეს.

მადლიანი კალთა, ფუძე და ჭერი დაგელოცოთ!

მშობელთა სახელით,

ინგა მინაშვილი

რედკოლეგია